ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6751962

ნომერი: AR1999716

თარიღი : 08.11.2023

გაცემის თარიღი : 09.11.2023

გაცნობის თარიღი : 09.11.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პასტერი , N 5/7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ხუხაშვილი პ/ნ 01007011144
- თბილისი ს.ცინცაძის ქ. N 33 ბ. 36

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლევან ხუხაშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს 1920
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400247899
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ზურაბ კურტანიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017045988

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 6692162
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 3.10.2023

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2021 წლის 24 მარტის №5339634 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 24 მარტის №5339634 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი - დიდუბე), პასტერის ქ. N5/7-ში არსებული საოფისე შენობის სასტუმროდ რეკონსტრუქციის პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 24 მარტიდან 2021 წლის 24 სექტემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

2023 წლის 06 სექტემბრის №AR1987991 განცხადების საფუძველზე , სამსახურის 2023 წლის 03 ოქტომბრის № 6692162 ბრძანებით მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 03 ოქტომბრიდან 2024 წლის 03 იანვრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

2023 წლის 08 ნოემბრის №AR1999716 განცხადებით მოგვმართა მოქ. ლ. ხუხაშვილმა, რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2023 წლის 03 ოქტომბრის № 6692162 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს ლევან ხუხაშვილის 08/11/2023 წლის AR1999716 განცხადება.
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 03 ოქტომბრის № 6692162 ბრძანებაში და ბრძანების მე–3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 09 ნოემბრიდან 2024 წლის 09 თებერვლის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
“.4. . მშენებლობის დარჩენილი ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:
1) შიდა მოპირკეთებითი სამუშაოების დასრულება მათ შორის სახანძრო სისტემების მოწყობის დასრულება.
2) სამუშაოების დასრულება.
3) სამშენებლო ნაგვის გატანა.
4) სხვადასხვა სამუშაოები.

გაითვალისწინეთ: მშენებლობის ნებართვის მფლობელი (დამკვეთი) ვალდებულია “მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპის დასრულების ოქმი და სამშენებლო/სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას - დაჯარიმებას.
5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 03 ოქტომბრის № 6692162 ბრძანებასთან ერთად.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.